ტფილისი
საქართ. პარლამენტის ბიბლიოთეკა

№ 190 | 1877—1899 | № 190

შაბათი, 4 სექტემბერი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

შაბათი, 4 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კვირას, სექტემბრის ხუთს, ვერის სასაფლაოს წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, დილის ცხრა საათზედ, გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## ზაქარია დიმ. ძის გაგაშვილის

სულის მოსახსენებლად. დედა განსვენებულისა **თინათინ ზაქარიას ასული** სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრნენ წირვასა და პანაშვიდს. (1—141—1)

---

ორშაბათს, 6 სექტემბერს, ბორჯომის დილის მატარებლით ჩამოასვენებენ ტფილისის სადგურზე გვამს აბასთუმანში განსვენებულის სევერსკის დრაგუნთა რაზმის

## კორნეტის თავად იოსებ პორფირეს ძის ბარათაშვილისას.

შემდეგ განსვენებულის გვამს წაასვენებენ სადგურიდგან ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში დასაკრძალავად. დედა და დები განსვენებულისა, აუწყებენ რა ნათესავთა, ნაცნობთა და თანამოსამსახურეთ, სთხოვენ დაესწრნენ დასაფლავებას. (1—142—1)

---

## ქ. ქუთაისში
## ექიმი გაბრ. იოს.
## გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთოშვილის სახლი, № 2.
(40—140—2)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე

**დილით:**

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—10—11 საათ.

დ. კ. ქრისთავი—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12

ნ. ტ. მუხრანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. მატინოვი—თვალისა 12—1.

თ. ნ. ადამიანი—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

ნ. ზ. უმიკაშვი—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ი. ვაწაძე—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—6—7 საათ.

კ. ი. გელიშვილი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—7—8 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

გარდა ამისა საჭიროების დაგვარად მოწვეულ იქმნებიან ოპერაციებისათვის:

საქირურგო—თ. კ. ჩუდნოვსკი.

დედათა სნეულებისათვის—კ. სობოლევსკი.

და თვალებისა—გ. ა. ტარსაიძე.

ფასი რჩევა დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

ქუჩა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანტოვის მეგობის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

---

## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. ბურკო. $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი $7^1/_2$—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

---

## ქ. ქუთაისში
## პიანისტკა
### რ. მატროსოვიჩი,

რომელმაც გაათავა ვენის კონსერვატორია, ასწავლის ფორტეპიანოს დაკვრას.

ადრესი: ნემსაძის სახლი, სადაც სცხოვრობ სანჯენერი ა. გ. ცეიტლინი (რკინის გზის სადგურის ახლოს). (15—139—6)

---

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარმართებელმა 1-ლ სექტემბერს დაათვალიერა ტფილისის საბაზრო ადგილები და კმაყოფილი დარჩა ამ ადგილების დასუფთავებისაგან.

*** მთავარმართებლის თანაშემწეს თავისის მხრით არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ დაუნახავს კახეთის მევენახეთა კრების მოწვევისათვის, რომელიც კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს აქვს განზრახული 20-დგან 25 ნოემბრამდე ქ. თელავში.

*** დღეს მოხდება საზაფხულო დასვენების შემდეგ პირველი სხდომა მთავარმართებლის საბჭოსი.

*** ტფილისის გუბერნატორმა 2 სექტემბერს გაუგზავნა ტფილისის ქალაქის მოურავს შესასრულებლად საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს იმ დადგენილების პირი, რომლის ძალითაც გაუქმებულია ქალაქის საბჭოს დადგენილება სოფლის ნაწარმოებთა ეტლებზედ გარდასახადის აკრეფის შესახებ.

*** ტფილისის გუბერნატორმა განუმარტა ტფილისის ხელოსანთა გამგეობას, რომ ხელოსანთა და ამქართა გამგეობის თანამდებობაზედ არჩეული კაცნი უთუოდ ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა იყვნენ და მოხარკე საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდნენო.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის დ. ს. ს. ლ. პ. მატიეცკის ავადმყოფობის გამო 3 სექტემბრიდგან პოლიცმეისტრის თანამდებობის აღსრულება ისევ მის თანაშემწეს გ. ს. კოვალევს მიენდო.

*** 5 სექტემბრიდგან სწავლა დაიწყება ტფილისის 1-ლ საკვირაო

---

# ფელეტონი

## „ვერ გეტყვი, ვერა"!..
(პაწია ამბავი)

### I

არის ისეთი წუთი, რომ ადამიანს რაღაც მოაგონდება და... ან გაახარებს, ანუ დაალონებს .. თუ ტუჩები ელიმება და თვალები უბრწყინავს, მაშინ ის გულში ხარობს, თუ თავპირი ჩამოსტირის და კოხებ შეკრულია—ეს იმას ჰნიშნავს, რომ... რაღაც აწუხებს...

თედოსაც ეტყობოდა, რომ თავისს ჭერქვეშ არ იყო: მოწყენილ-მოღვრემილი იჯდა და კვნესა-ოხვრავდა, როცა თედოსთან ვინმე შევიდოდა სახლში, თედო სცდილობდა მხიარულად ეჩვენებოდა, მაგრამ... მჭვარტლიან ბუხრის ბოლს რა ჰპირი დაჰმალავს?!.

თედოს რო ჰკითხავდნენ ხოლმე კვნესა-ოხვრის მიზეზს, სიტყვას გაუტრიზავებდა და ბოლოს დასძენდა, ხოლმე „არ ითქმის, არაო!".

— ვახ! წამოიკვნესა თედომ: ნუ თუ ჩემი აღსასრულის დღე დადგა?!.

. . . . . . . . . . . . . . . .

### II

ეკკლესიიდგან ცხედარი გამოასვენეს.

სამგლოვიარო ზარის რეკა მოესმა თედოს და უფრო შეწუხდა.

— აგერ, გამოასვენეს ჩემი მსხვერპლი, თავ პირში წაშენით წაილუღლუღა თედომ: მინდა მივიდე, ფეხქვეშ ჩავუვარდე,—ბოდიში მოვიხადო... ვერა და ვერა ვბედავ... ან რა პირით მივიდე, ხომ ჩამქოლეს?!..

თედო გარედ გამოვიდა და ზარის რეკას ყური დაუგდო. თითქო დანას უსვამენო, ისე ცახცახებდა.

— ოხ! რა მიყვარდა და ეხლა რანაირად შემზარავდა ე დალოცვილი ზარის რეკა: ყველას ატყობინებს: ობოლ-ოხერს ბოლო მოუღესო და მოდით და შეარცხვინეთ დამჩაგვრელიო...

თედომ ველარ აიტანა გარედ დგომა და ოთახში შევარდა. რაღაც ბზუილი მოესმა და... დაინახა, რომ ობობას თავისს შხამიანს ქსელში ბუზი გაება და სისხლ უშრობდა.

— დახე, დახე! მეორე ჩემი მსგავსი არსებაო! გიჟსავით დაიძახა თედომ: მე რითი ვჯობივარ ობობას?! არაფრით: საბრალო ქალი ჩემს ხაფანგში შემოვიტყუე და... აგერ დღეს ჰმარხავენ.

თედოს ჯავრი მოუვიდა და... ობობა კედელზედ მიაჭყლიტა.

— დიახ, განაგრძო თედომ: მეც ეხლა ღმერთი მკითხავს უსამართლობას და ობობასავით გავისრისები...

. . . . . . . . . . . . . . .

### III

ცხედარი მიჰყავდათ სასაფლაოზედ. მოთქმით ტირილი მოისმოდა.

—ღმერთმან ჰკითხოს შენ მაგიერი, საბრალო ქალო!.. დაგვირგვინებას გპირდებოდნენ, ის კი არა, სამარის კარები მოგანახვინეს, ვაი შენ გაჩენის საათს!... შენ სიტყვა გჯეროდა, შენსავით ალალი სხვაც გეგონა, ის-კი არა, გაგაწბილეს და ბედი გაგიშავეს, ვაი შენ მშობელს ქალო... ამნაირი შერცხვენა ველარ აიტანე და ვარამს გადაჰყევი!...

ამ მოთქმა ტირილს თედო გატურნული ყურს უგდებდა.

— მართალია, მართალი! ატაცებული გაიძახოდა თედო: მე დავიდე იმისი ცოდვა, მოდით, მომკალით!... მოდით, პირში ჩამაფურთხეთ.

თედოს გულიც სატირლად აჩოჩქოლდა და ქვითინი დაიწყო.

— რასა სტირი კაცო? დაეკითხა ახლად შესული სახლის პატრონი.

— ჩემ თავს!—აბდა-უბდათ უპასუხა თედომ.

— მაინც?

— ვერ გეტყვი, ვერა!...

. . . . . . . . . . . . . . .

დუშელი ვანო.

---

## მეუღლენი.
(თარგმანი)

მთელი შვიდი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ინჟინერმა პეტრე ბრანდერმა ცოლი შეირთო და ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ უსაყვედურნია თავისს თავისთვის და არ უთქვამს,—რათა ვქენი ასეთი საქმე და რად შევირთე ცოლიო. ეხლანდელს დროში იშვიათად შეჰხვდებით ისეთს ყმაწვილ კაცს, რომელიც მეორე დღესვე ქორწინებისას თავსბედს არ იწყევლიდეს და კრულვით არ იხსენიებდეს იმ საათს, როდესაც პირველად ცოლის შერთვა განიზრახა. ამ ვაჟბატონებთან შედარებით ბრანდერი ბედნიერ ცხოვრებას ატარებდა.

მაგრამ ერთი რამ იყო, რომელიც მუდამ აფიქრიანებდა და ხშირად მოსვენებასაც-კი არ აძლევდა ბრანდერს, სახელდობრ ის, რომ ცოლი მეტად პროზაიკულის ხასიათის პატრონი ჰყავნდა. მარია-ლუიზა (ასე ეძახდნენ იმის ცოლს) საქმითაც და სიტყვითაც მხოლოდ მიწიერს ინტერესებს ემსახურებოდა, მხოლოდ იმათთვისს ფიქრობდა და ზრუნავდა. არასოდეს, მაგალითად, თავისს ქმარს არ ეტყოდა, „ჩემო საყვარელო", „ჩემო გვრიტო" და სხვა ამისთანა საალერსო სიტყვებს, მუდამ: „პეტრე", ან „მოხუცო", თუმცა ბრანდერს მოხუცებამდე ჯერ კიდევ ბევრი ეკლდა.

ხშირად, როდესაც ცოლი სტოლ

სკოლაში, ქალაქის სახელოსნო სასწავლებელთან.

*** აკადემიკოსი ი. რ. თარხნიშვილი მომავალ სააკადემიო წელს ხელ-მეორედ ჰკისრულობს პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტობას.

*** ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა წინადადება მისცა ქალაქის სადეზინფექციო სადგურის მმართველს, დეზინფექცია გაუკეთოს გასასყიდ ძველ ხალიჩა-ფარდაგებს და ძველ წიგნებსაო. ამასთან ხსენებულმა ინსპექტორმა სთხოვა ტფილისის პოლიცმეისტერს, დაავალოს ძველ ხალიჩებისა და წიგნების გამყიდველთ დაუყოვნებლივ წარადგინონ ეს ნივთები სადეზინფექციო სადგურშიო.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა მოიწონა ადგილი ოზურგეთის მახლობლად ზვანის ტყეში თამბაქოს საცდელ ყანის გასაშენებლად და გადასდო ამ საქმისათვის 8,400 მან.

*** 2 სექტემბერს დილით ტფილისში ჩამოვიდა 48 მოგზაური ფრანგი, რომელთაც გუშინ-წინ დაათვალიერეს საბოტანიკო ბაღი, მუზეუმი და სხ. ამავე დღეს, საღამოს, ჩამოვიდა მოგზაურ ფრანგთა მეორე დასი. გუშინ-კი მოელოდნენ უკანასკნელ დასს.

*** საქართველოს საეკლესიო მუზეუმის წევრმა ბ-ნმა ნატროშვილმა წარადგინა ამ მუზეუმში სიღნაღის მაზრის სოფ. შირაქში, კიკორციხის მთის მახლობლად აღმოჩენილი თიხის კერპი, რომელსაც კაცის სახე თურმე აქვს. იმ ადგილას, სადაც ეს კერპი უნახავთ, მრავალი ნაცარი და ნახშირი აღმოუჩენიათ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სასანიტარო კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს შავი ჭირის საწინააღმდეგო ღონის-ძიებათა ხმარება, გარდაუწყვეტია აჰკრძალოს რკინის გზის ბაქანებზედ უვარგის ნაწარმოების გაყიდვა.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიჰმართა კავკასიის სოფლის მეურნეთ, გაზ. „კავკ. სამ. საზოგად."-ის თანამშრომელთ და კორესპონდენტთ, სოფლის მღვდლებს, ხარჯის ამკრეფ ინსპექტორებს, მაზრის მკურნალთ, ბეითალთ და კავკასიის საფილოქსერო საზოგადოების აგენტებს და სთხოვა, მოგვაწოდეთ ცნობები წლევანდელ მოსავლის შესახებო.

*** იმ ბაღეულობის გამოფენაზედ და ბაღოსნობის მოღვაწეთა კრებაზედ, რომელიც გამართულ იქნება სოხუმში 15 სექტემბრიდგან 1-ლ ოქტომბრამდე, განზრახვა აქვთ გამართონ ლექციების კითხვა ბაღოსნობისა, მებოსტნეობისა, მევენახეობისა, ნაყოფის მოყვანისა, ბაღეულობის მავნე მწერთა, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის შესახებ. ლექციების კითხვის გამართვა მინდობილი აქვთ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მმართველს შავროვს, სამიკოლოგიო სადგურის მმართველს სპეშნევს და მეფუტკრეს კლაუსენს.

*** მდაბიო ხალხს ჩვენში ჩვეულებად აქვს სხვა და სხვა გვარ გადამდებ სენით ავადმყოფთა წაყვანა ეკლესიებში. აქ ავადმყოფთ ჩვეულებრივ სუფთა ტანისამოსს აცმევენ და ძველს-კი ეკლესიაში დაჰყრიან ხოლმე. რადგან ასეთი ჩვეულების გამო შესაძლებელია გადამდებ სენთა გავრცელება, ამის გამო ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა სთხოვა პოლიცმეისტერს, საჭირო ღონის-ძიება იხმაროთ ასეთის ჩვეულების მოსასპობადო.

*** მთავრობის კანონ-დებულებათა და „განკარგულებათა კრებულში" გამოცხადებულია, რომ ხაზინის-მიერ მიღებულ იქნა თავადის ზ. გ. ერისთავისაგან შეწირული მამული სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად.

*** ამ დღეებში, „სინ ოტეჩ."-ის სიტყვით, გარდაწყვეტილია რკინის გზის შტოს გაყვანა ყარსის რკინის გზის სადგურ გუმბრიდგან სოფ. ულუხანჩუმდე.

*** 7 სექტემბერს გორში ტფილისის ოლქის სასამართლო სესსია განიხილავს ბორჯომის მამულის 18 გლეხის საქმეს, რომელთაც ისა ბრალდებათ, რომ წინააღმდეგობა გაუწევს სასამართლოს ბოქაულს და პოლიციის მოხელეთ, როცა ეს უკანასკნელნი სასამართლოს განაჩენს ასრულებდნენ. საქმის გასარჩევად გაგზავნილნი არიან ოლქის სასამართლოს წევრნი ბ-ნი ბოგაევსკი (თავმჯდომარე) და ბ-ნი პადალკო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ეთო,** (შორაპნის, მაზრა). დ. საჩხერიდგან ასე შვიდი-რვა ვერსის მანძილზედ მდებარეობს სოფ. ეთო. სოფელი კარგა მაღლობზეა გაშენებული. მცხოვრებლები სულ გლეხობაა, ასე 40 მოსახლე იქნება. როგორც გონებით, ისე ქონებით ეს სოფელი ერთი დაქვეითებულ სოფელთაგანია. აქ ხალხისათვის ერთად-ერთ სახსარს, როგორც სხვა ამ კუთხის სოფლებისას, შეადგენს სიმინდის მოყვანა; მისდევენ თესვას აგრეთვე ქერისას და პურისას, მაგრამ ხილად. ამ სოფელში გამოჩნდა ქვა-ნახშირი, რომელიც, როგორც გავიგეთ, ღირსებით არ ჩამოუვარდება ტყიბულისას.

რამდენიმე კაცი კიდეც მოვიდა აქ და სანიმუშოდ წაიღეს ქვა-ნახშირი. თუ ღმერთმა ქმნა და მის შემუშავებას შეუდგნენ, დიდად დაწინაურდება არა მარტო ეს სოფელი, არამედ მთელი საჩხერის ნაწილიც, მხოლოდ საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებლები, ვიდრე მათ სიმდიდრეს სხვები ჩაიგდებდნენ ხელში, თვითვე შეუდგნენ წარმოებას, თორემ, ჭიათურისა არ იყოს, გვიანღა იქმნება ბოლოს თითზედა კბენანი.

—

**სოფ. მერჯევი,** (შორაპნის მაზრა). სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა სოფელმაც გამოიღვიძა და ასე თუ ისე შეიგნო მნიშვნელობა სწავლა განათლებისა. ამ რამდენისამე კვირის წინად ამ სოფლის მცხოვრებლებმა დაადგინეს ააგონ ერთ კლასიანი სკოლის შენობა და მასწავლებელი მოიწვიონ. მადლობის ღირსია ამ სოფლის მცხოვრები დ. ბიძაძე, რომელმაც სკოლისათვის უსასყიდლოდ დაუთმო სოფელს კარგა მოზდილი ადგილი. სოფელი ეხლავე შეუდგა შენობისათვის მასალის მოპოვების ზრუნვას. მასწავლებელი უკვე მოიწვიეს და ვიდრე საკუთარ სახლს ააშენებდნენ სკოლისათვის, სწავლა კერძო სახლში დაიწყება, როგორც გავიგეთ, ამა მდგომარე სასწავლო წლიდგან. კარგი იქნება მერჯევზედ მიწერილმა სოფ. ღვანწმინდამაც ყური გამოიჩინოს, სოფლის დადგენილებაზედ ხელი მოაწეროს და თავისს შვილებისათვისაც ხელმისაწვდომად გახადონ ეს სკოლა, მით უმეტეს, რომ ეს ორი სოფელი ერთ შტატს შეადგენს და ერთად უფრო კარგს ნიადაგზედ დააყენებენ სკოლის საქმეს.

—

**ზემო იმერეთი.** საჩხერისა და ჭიათურის საზოგადოების მცხოვრებნი წლეულს მოსავლის გამო დიდ საგონებელში არიან ჩავარდნილნი. საზოგადოდ შორაპნის მაზრაში და კერძოდ ხსენებულს ნაწილში ისეთი სივიწროვეა ადგილებისა, რომ ჩვენებურ შეძლებულ გლეხს მთელის შრომა-ჯაფის შემწეობით მხოლოდ ერთი წლის სარჩო შეუძლიან მოიყვანოს, თუ ამასთანავე წელიწადმაც ხელი შეუწყო ნამუშევარს, ხოლო უმრავლესობას ხომ ნახევარს წლამდისაც არ გაჰყვება სარჩო. განსაკუთრებით წინა წლებზედ წლეულს უფრო მეტად მოუსავლიანი წელიწადია; პური, სხვა დროსთან შედარებით, მესამედიც არ მოსულა წელს. ვენახები საზოგადოდ სულ მოისპო; თუმცა აქა-იქ სოფლებში „კიმპლა-კიმპლა" ასხია ყურძენი, მაგრამ შრომად არა ჰღირს მისი კრეფა-დაწურვა. სიმინდი ეს ერთად-ერთი სახსარი ამ კუთხის მცხოვრებლებისა, ისეა მოშრეტილი, რომ ზოგან ჩალად იჩეხება და ზოგან კი, თუმც მოუსხამს ტარო, მაგრამ ისე გაკვიჭიჭებულ-დაუსრულებელია, რომ ათი ურმის მოსავლიან ადგილზედ ერთ ურემს თუ მოუყრის თავს კაცი. ხალხი დიდ სასოწარკვეთილებას მისცემია, განსაკუთრებით წვრილი მუშა, რომელსაც ერთად-ერთი წლის მოსავალი აქვს ოჯახის სარჩენად, მტრისა და მოყვრის პასუხს გასაცემად, მღვდლისა, ხელმწიფისა, ბატონისა და სხვ. ხარჯების გასასტუმრებლად. კიდევ კარგი, რომ ჭიათურაში წელს შავს ქვაზედ კარგი მუშაობაა, რომელსაც ხალხი ძალიან ეტანება და მით სულს იბრუნებს.

ქ. ქ.

## რუსეთი

საერო განათლების მინისტრმა დაუგზავნა სამოსწავლო ოლქის უფროსებს საყოველთაო მოწერილობა, რომელიც შეეხება საშუალო სასწავლებლებს. მოწერილობაში აღნიშნულია, რომ პედაგოგები და გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების მოსწავლეთა მშობლები დიდი ხანია სჩივიან ამ სასწავლებელთა სხვა და სხვა ნაკლულევანებაზედ. მინისტრს ბევრი ასეთი საჩივარი გაზვიადებულად და შემცდარად მიაჩნია, მაგრამ ზოგს-კი სამართლიან საჩივრად აღიარებს. მინისტრი საშუალო სკოლის ნაკლულოვანებათა მოსასპობად საჭიროდ რაცხს ჯერ გაიცნოს გამოცდილ პედაგოგთა აზრები ამ საგნის შესახებ. ამ აზრით მას განუზრახავს მოიწვიოს მომავალ ზამთარში განსაკუთრებული კომისია პეტერბურგში. კომისიაში უნდა მონაწილეობას იღებდნენ ყველა სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელნი 2—4 კაცი თვითეულ ოლქიდგან. არჩეულ პირთ უნდა იხელმძღვანელონ მინისტრის შემდეგის წინადადებით: 1) კომისიას საგნად უნდა ჰქონდეს: ა) საშუალო სკოლის ნაკლულევანებათა განხილვა და მათ მოსასპობ საშუალებათა გამორკვევა, და ბ) თუ საჭიროებამ მოითხოვა, მოლაპარაკება საშუალო სკოლის ტიპის შეცვლის შესახებ. 2) კომისიის დასკვნები შემუშავებულ უნდა იქმნეს ისე, რომ შეიძლებოდეს გარკვეულ აზრის შედგენა ამ დასკვნე-

---

თან იჯდა და ჰკერავდა, ქმარი მივიდოდა ხოლმე და მიეალერსებოდა: „ჩემო ვარდო! ჩემო დაუვიწყარო"-ო, ეტყოდა. ლუიზა პირზედ საკერავს მიიფარებდა, სიცილს ასტეხავდა და ეტყოდა ხოლმე: „ვიცი, ვიცი, მოხუცო, რისთვისაც მეალერსები: გინდა, კარგი სადილი მოგიმზადო, განა?" თითქო ცივი წყალი გადაასხესო, ბრანდერი უნუგეშოდ ხელს გაიქნევდა და ჩუმად მოჰშორდებოდა ხოლმე ცოლს.

სიმართლე მოითხოვს აქვე ვსთქვათ, რომ სხვაფრივ მარია-ლუიზა ჩინებული და სამაგალითო ქალი იყო: თითქმის ყოველ წელიწადს ოჯახს ახალ-ახალ წევრსა ჰმატებდა, სადილს თავისს დროზედ ამზადებდა, ბავშვებს კარგად უვლიდა და იმდენ ყაირათობასაცა სწევდა, რომ თვის გასულს ორიოდე გროში კიდევა რჩებოდა. ყველა ამ ღირსებასთან ერთად მარია-ლუიზა ახალგაზდა და ლამაზიც იყო.

პირველ ხანს, როდესაც ჯერ კიდევ დანიშნული იყო, ბრანდერმა ხეირიანად ვერ გაიცნო მარია-ლუიზას ხასიათი. სიყვარულით გატაცებული, მაშინ ამ სიყვარულის მეტს არაფერს არა ჰგრძნობდა. მაგრამ ეხლა აშკარად ჰხედავდა ყველაფერს: იმ დროს, როდესაც თვით პოეტური სიყვარული სწყუროდა, სწყუროდა ჰაერში ფრენა (როგორც პოეტები იტყვიან ხოლმე), ცოლი ძირს ეწეოდა და ყოველ-დღიურს ჭირ ვარამს აგონებდა.

ერთხელ ბრანდერს რამდენისამე დღით სხვაგან წასვლა მოუხდა. გამოთხოვების დროს ისე გადაეხვია, ისე მაგრა ჩაიკრა გულში, რომ კაცს ეგონებოდა სამუდამოდ ჰშორდება ცოლსა და შვილსაო.

— მშვიდობით, ჩემო მზეო!— აკანკალებულის ხმით მიჰმართა ცოლს,—ვისურვებ, რომ ანგელოზთ არ მოეკლოთ მფარველობა იმ დროს, როდესაც მე შორს, შორს ვიქმნები და გულს სევდა...

— ნახვამდის, ნახვამდის! ჰო, მართლა!—გააწყვეტინა ცოლმა,—არ დაგავიწყდეს ბავშვისთვის კბილის საწმენდი; ჩითიც იყიდე, ჩემს გოგონას კაბა უნდა შეუკერო.

თითქოს თავში კეტი დაარტყესო, ისე მოსწყდა კისერი ბრანდერს. გულ-ნატკენი სადგურისაკენ გაემართა და მატარებლით გაუდგა გზას. ერთის დღის შემდეგ ცოლს წერილი მოსწერა, რომელიც ამ სიტყვებით იწყობოდა: „ჩემო გულის ვარდო!" და თავდებოდა: „სამარემდის შენი ერთგული პეტრე." წერილის მეხუთე ფურცელზედ შემოხაზული იყო და ამ შემოხაზულში ეწერა: „ამ ადგილს შენმა ქმარმა აკოცა"-ო. თვით წერილში დაწვრილებით ნაამბობი იყო ის სულიერი ტანჯვა და წვალება, რომელიც ბრანდერმა მარტოობის დროს გამოიარა.

მარია-ლუიზამ იმავე წამს ღია ბარათი გაუგზავნა, რომელშიაც სწერდა: „ჩვენ ყველანი კარგადა ვართ. ბავშვებმა მოკითხვა შემოგითვალეს. აბა შენ იცი, მოხუცო, როგორც ისარგებლებ მარტოობით და კარგად გაატარებ დროს!

შენი მარია-ლუიზა".

მწარე ღიმილმა გაურბინა ტუჩებზედ ბრანდერს, როდესაც ეს წერილი წაიკითხა. „თავისს ერთფეროვნებით სიყვარულს მიკლავს გულშიო", წაიბუტბუტა და წერილი ჯიბეში ჩაიდო.

უკან დაბრუნებისას ბრანდერმა საწოლ ვაგონის ბილეთი აიღო, მაგრამ რადგანაც გვიან მოვიდა, ძირს ადგილი აღარ იყო, და მაღლა მოუხდა წოლა.

ძირს ვიღაც ყმაწვილი ქალი და კაცი მოთავსდნენ. ბრანდერს ჯერ სცხვენოდა მაღლა ასვლა, მაგრამ, რადგანაც დიდი გზა იყო გასავლელი, იფიქრა, მე ამათ არ შევაწუხებ, ჩემთვის წყნარად მივწვები, არ გავინძრევი და ძილში ხვრინვასაც არ გავაბამო, და მაღლა აცოცდა.

ნახევარი საათის შემდეგ ბრანდერი საუცხოვო სურათის მოწამე შეიქმნა. ძირს მყოფი ახალგაზრდა ქალი და კაცი ერთმანერთს გადახვეოდნენ და სიყვარულს უცხადებდნენ. სიყვარულით გატაცებულთ ისიც-კი დაჰვიწყებოდათ, რომ ზემოთ კაცი იწვა, რომელსაც შეეძლო იმათი ნალაპარაკევი გაეგონა. როგორც ეტყობოდა ახალგაზრდანი იმ ჯურის ხალს არ ეკუთვნოდენ, რომელნიც დაწოლის დროს ორ სიტყვას ძლივს აღირსებენ ხოლმე ერთმანერთს. არა, ძილის ნაცვლად მათ ხელი-ხელს გადაჰხვიეს და კოცნასა და ტირილს შეუდგნენ. რათა ჰკოცნიდნენ ერთმანერთს, ბრანდერმა ვერ გაიგო, ხოლო ტირილის მიზეზს-კი მიხვდა: 4—5 თვით განშორება მოელოდდათ.

ბრანდერი თვალებ-დაჭყეტილი დაჰყურებდა ზევიდგან და სტკბებოდა ამ სურათით. აი, ნამდვილი სიყვარული, გრძნობა და, თუ გნებავთ, პოეზიაც-კი. ისეთ საალერსო სახელებით იხსენიებდნენ ერთმანეთს, ისეთ სიტყვებით ეფიცებოდნენ სიყვარულს, რომ ეს სიტყვები შუათანა პოეტის ლექსიკონს საკმაოდ გაამდიდრებდა. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მუყაითი პოეტი ამ სიტყვებიდგან თექვსმეტ-ჩვიდმეტს ჩინებულ სალირიკო ლექსს შეადგენდა.

— განა, რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე უშენოდ?! —ეკითხებოდა მწარედ კაცი ქალს.

ბის პრაქტიკულად განხორციელების შესახებ. ამასთან დასკვნები დაფუძნებული უნდა იყოს გამოცდილებაზედ. 3) კომისია უნდა ხელმძღვანელობდეს იმ მოსაზრებით, რომ საშუალო სკოლის არსებულ წეს-წყობილებაში ცვლილება უნდა შეტანილ იქმნას მხოლოდ თან და თან და ფრთხილად, რადგან სკოლის საქმე ვერ იტანს ერთბაშ ცვლილებასა. ამასთან საჭიროა კომისიას სახეში ჰქონდეს, რომ რუსეთის ცხოვრების დღევანდელი პირობები დაჟინებით თხოულობს საპროფესიო განათლების გავრცელებას. 4) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, სხვათა შორის, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, რომლისთვისაც საჭიროა მოსწავლეთ მეტი თავისუფალი დრო რჩებოდეთ გაკვეთილებისაგან. 5) კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას, რომელიც ისე უნდა მოეწყოს, რომ მოსწავლეთ განუვითარდეთ რელიგიური გრძნობა, გრძნობა-სიყვარულისა მეფისა და სამშობლოსადმი, გრძნობანი მოვალეობისა, პატივისა, სიმართლისა, ავტორიტეტთა პატივის-ცემისა და სხვა.

— რადგანაც მრავალ მასწავლებელ ქალთა და კაცთ აღუძრავთ შუამდგომლობა იმის შესახებ, რათა შეძლება მიეცეთ შეღავათით იმოგზაურონ პარიჟში მომავალ მსოფლიო გამოფენის დასათვალიერებლად, საერო განათლების სამინისტროს დაუდგენია, როგორც „Рус. Вѣд.“ იუწყება, დაეხმაროს და შემწეობა აღმოუჩინოს მგზავრობის დროს იმ მასწავლებელთ, რომელთაც ამის ღირსად სცნობს.

— იმპერატორის ალექსანდრე პირველის სახელობის ინჟინერთა ინსტიტუტში მიუღიათ სულ 40 სტუდენტი; ეგზამენი-კი 380 კაცს დაუჭერია.

— შუამდგომლობაა აღძრული ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ბალტის ზღვის ნაპირზედ მდებარე ერთ-ერთ ქალაქში უმაღლესი სავაჭრო-სანაოსნო სასწავლებელი იქმნას დაარსებული.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ციმბირის დიდი რკინის გზა, რომელიც რუსეთს გაჰყავს, და რომელიც ევროპას შეუერთებს შორეულს აღმოსავლეთს, დიდად აფიქრებს ინგლისელებს. ეს საკვირველიც არ არის, რადგან ხსენებული გზა, როცა ის დამთავრდება, ჯერ ერთი, რომ დიდს შემოსავალს მისცემს რუსეთს და მეორეც კიდევ, მომეტებულს გავლენას მოუპოვებს აზიაში. რაღა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც ინგლისს დააკლდება, და ამიტომ ეს უკანასკნელი მუდამ იმის ფიქრშია, რომ რაიმე ისეთი ღონისძიება გამოსძებნოს, რომელიც მეტოქეობას გაუწევდეს ციმბირის რკინის გზას და ინგლისს ეხლანდელს პოლიტიკურსა და ეკონომიურს უპირატესობას შეარჩენდეს აზიაში. ამ შემთხვევაში საინტერესოა ვინმე მორგანის პროექტი. რა უნდა მოასერხოს ინგლისმა ციმბირის გზის სამაგიეროდ, — კითხულობს მორგანი, — რომელიც სრულებით გადაასხვაფერებს აზიას და ევროპიდგან შორეულს აღმოსავლეთში საქონლის გაგზავნის წესსა და რიგს სულ ერთიან შესცვლისო? დიდძალს საქონელსო, — ამბობს მორგანი, — რომელიც ამ ჟამად სამხრეთით მიდის სუეცის არხზედ, ციმბირის გზა გადაიბირებსო, რის შედეგიც იქნება რუსეთის ზეგავლენის გაძლიერება ინგლისის საზარალოდო. მორგანის აზრით, რათა ციმბირის დიდს რკინის გზას ცილობა გაუწიოს ინგლისმა, საჭიროა თითონაც დიდი რკინის გზა გაიყვანოს ხმელთა შუა ზღვიდგან სამხრეთ აზიაზედ ინდო-ჩინამდის (ჩინეთშია). ეს საოცარი პროექტი, მისი ავტორის აზრით, ისეთს არას წარმოადგენს, მისი შესრულება რომ არ შეიძლებოდეს. ფიზიკურს დაბრკოლებას ის უფრო ნაკლებს შეხვდება, ვიდრე ციმბირის გზაო, — ამბობს მორგანი, — და თუ პოლიტიკურს რასმე დაბრკოლებას ნახავს, რადგან გზამ ბევრგან ისეთ ქვეყნებშიაც უნდა გაიაროს, რომლებიც ინგლისს არ ეკუთვნის, ეს დაბრკოლება უძლეველს არაფერს წარმოადგენსო.

მორგანის პროექტით, ხსენებული გზა უნდა დაიწყონ ალექსანდრიის ქალაქიდგან (ეგვიპტეში); იქიდგან გზამ უნდა გაიაროს არაბეთი, სამხრეთ სპარსეთი (ბელუჯისტანი), ინდოეთი და მივიდეს შანხაიში. სიგრძე ამ გზისა იქნება 6700 მილი, რომელ ანგარიშშიაც შედის 2000 მილის სიგრძე გზა, უკვე გაყვანილი ინგლისის მიერ ინდოეთში. ეს გზა, როგორც მორგანი ფიქრობს, ერთობ გაუადვილებს მოგზაურებს და საქონლის გამგზავნთ დამოკიდებულება იქონიონ ევროპასა, ინდოეთსა და ჩინეთთან; ამასთანავე ეს გზა იქნება ერთად-ერთი დიდი გზა ხმელთა შუა ზღვასა და დიდს ოკეანეს შორის, რომელსაც არ აშორებს საქონლის გადატან-გადმოტანა ერთის ადგილიდგან მეორემდის.

—

**საფრანგეთი.** როგორც ვიცით, რესპუბლიკანურ წეს-წყობილების წინააღმდეგ შეთქმულთა გასამართლება უნდა მოხდეს სენატის შენობაში, ეგრედ წოდებულს, ლიუქსემბურგის სასახლეში. „ფიგარო“ იუწყება, რომ ხსენებულს სასახლეში ერთობ გაძნელდა სამზადისი, რათა უმაღლეს სასამართლოს სხდომის დაწყებისთვის ყველაფერი მზად იყოსო. საქმე ის არის, რომ ბრალდებულთათვის იქვე უნდა მოამზადონ სადგომი, რომელშიაც დღე და ღამ უნდა იცხოვრონ საქმის გათავებამდე, რადგან უზრუნველად უცვნიათ მათი ყოველ დღე ტარება საპყრობილესა და სენატს შუა. თითონ სამოსამართლო დარბაზსაც სჭირდება თურმე გადაკეთება, რადგან იქ დიდძალი ხალხი მოიყრის თავს საქმის გარჩევის დროს, როგორც, მაგალითად — ბრალდებულნი, მათი დამცველნი და გარეშე მაყურებელნი.

—

**ავსტრო-უნგრეთი.** იმპერატორმა ფრანც-იოსებმა სათათბიროდ იახმო შენბრუნში უნგრეთის პირველი მინისტრი კოლომან სელი. ლაპარაკის საგანს შეადგენდა ავსტრო-უნგრეთის დელეგატების არჩევა. ეს საქმე დიდს საფიქრებელ საგნად გაჰხდომიათ ჰაბსბურგის მონარქიაში, როგორც თვით იმპერატორს, ისე მის მინისტრებს. ამის მიზეზი ის არის, რომ დელეგატები, კანონის ძალით, უთუოდ პარლამენტმა უნდა აირჩიოს, მაგრამ ვენის პარლამენტის ოპოზიცია ისევ აპირებს ობსტრუქციის განახლებას, რათა შეუძლებელ ჰყოს ავსტრიის მხრით დელეგაციის არჩევა. კოლომან სელი შემდეგ სადარბაზოდ მივიდა გრაფ გოლუხოვსკისა და კალნოკისთან, და ამათ შემდეგ ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ ტუნთან. ამ უკანასკნელს იმედი განუცხადებია, რომ ოპოზიციის ზომიერ წრის მოთავენი — ბარონი ხლუმეცკი, ბერნეიტერი და სხ. ობსტრუქციას უკიდურესობამდის არ მიიყვანენო.

—

**შეერთებული შტატები.** ზღვათა მინისტრს ლონგს, როგორც ნიუიორკიდგან იუწყებიან, თათბირი ჰქონია პრეზიდენტ მაკ-კინლეისა და გარეშე საქმეთა მინისტრ ჯეისთან იმის შესახებ, რომ ლიუსონს (ფილიპინებზე) ალყა შემოარტყან ზღვის მხრიდგან, რათა ამით აღარავის აღარ ჰქონდეს საშუალება ფილიპინელებს საომარი იარაღი მიაწოდოს. მაგრამ ეს საქმე, ე. ი. ალყის შემორტყმა თითქმის შეუძლებელი ყოფილა არა მარტო ტეხნიკურად, არამედ კანონის მიხედვითაც, საერთაშორისო კანონით, არც ერთს სახელმწიფოს არ შესძლებია ალყა შემოარტყას თავისს საკუთარს ნაპირს. ამერიკელებმა თუ ალყა შემოარტყეს ლიუსონს, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ისინი მეომარ მხარეთ სთვლიან ფილიპინელებს; მაგრამ მაშინ ხომ გარეშე სახელმწიფოებსაც უფლება მიეცემათ ფილიპინელები მეომარ მხარედ ჩასთვალონ, და ეს სრულებით სასურველი არ არის ამერიკელებისათვის.

—

**ფილიპინები.** ამ რამდენიმე დღის წინათ მანილაში დაბრუნდა პორუჩიკი მარტინესი 22 ესპანელ სალდათით, რომლებთან ერთად ის გამაგრებული იყო ბალერის პატარა ციხეში და, წელიწადზედ მეტია, ფილიპინელების წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდა. იმისდა მიუხედავად, რომ ესპანიის მთავრობამ დიდი ხანია ბრძოლას თავი დაანება. აგვინალდოს მოსწყენია პატარა რაზმთან ბრძოლა და თავისი ხელით დაწერილი წერილი გაუგზავნია ერთი აფიცრის ხელით მარტინესისათვის და შეჰპირებია, რომ ციხიდგან თუ გამოხვალ, მანილამდის გზა დაცლილი გექნება, არავინ არას გკადრებს და ყოველ გვარ სამხედრო პატივისცემით გაივლი ხსენებულს ქალაქამდისო. მაშინ-კი გაუბედნია მამაცს ესპანელს დაეტოვებინა თავისი ციხე. საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა თურმე მარტინესის მოგზაურობა მანილამდის და მანილაშიაც. ხალხი ყველგან დიდის აღტაცებით ეგებებოდა და დიდის პატივისცემით ეპყრობოდა „მძლევა მოსილ დამარცხებულთ“. ფილიპინელებიც-კი თანაგრძნობას უცხადებდნენ თურმე პატარა რაზმს, მაგრამ ესპანელების აღტაცებას ხომ საზღვარი არ ჰქონდა: კაცები გატაცებით ეხვეოდნენ მათ ყელზედ და ქალები მათ წინ მუხლს იხრიდნენ და ტანისამოსზე ჰკოცნიდნენ.

# დამაკვირდი

ბუზები სწორედ მეგაზეთეებსა ჰგვანან: იმათთვის წმიდა არა არის-რა.

კარმენ სილვა

* * *

რა გინდ მერანი ფეხმარდი და ღონიერი იყოს, არ იქნება, რომ სადმე და როდისმე არ წაიბორძიკოს.

ლასურიძე

* * *

მოიგე წიგნის კითხვაჲ მოიწყინებლად; დადაცა თუ მცირედ ჭმურე, არამედ გული შენი განათლდეს.

წიგნი № 153

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ბოლოს დროს ამერიკასა და ევროპაში ბევრნი ამტკიცებენ, რომ კოცნა მეტად მავნე ჩვეულებაა; კოცნის შემწეობით ძალიან ადვილად შეიძლება სხვა-და-სხვა სენის გადადებაო. თუ რამდენად ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს კოცნას, ამის დასამტკიცებლად საკმაოა შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ: ამას წინად ბრესლავის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის დირექტორ უტიუფთან მისულა ერთი ახალგაზდა მანდილოსანი, რომელსაც თვალების ანთება გასჩენოდა. ექიმებმა ბევრი იკვლიეს და იძიეს, მაგრამ ამ ავადმყოფობის გაჩენის მიზეზი მაინც ვერ გაიგეს, ვიდრე ბოლოს თვით მანდილოსანმა არ განაცხადა, რომ ჩემს ქმარს ჩვეულებადა აქვს თვალებში კოცნაო. მკურნალებს მაშინვე გაუსინჯავთ ამ მანდილოსანის ქმრის ნერწყვი და შიგ ის ბაცილები-კი აღმოუჩენიათ, რომელიც ფილტვების ანთებას აჩენს. წამლობას თუმცა გულმოდგინედ შეუდგნენ, მაგრამ ქალს თვალები მაინც სრულიად ვერ მოურჩინეს, იგი დღესაც ნახევრად უსინათლოა. ნერწყვსა და საზოგადოდ პირში ბაცილების გაჩენა საკვირველსა და ახალს არაფერს წარმოადგენს. პირში წინადაც არა ერთხელ უნახავთ ბაცილები.

* * *

---

ქალმა თავი გაიქნია. აშკარა იყო, რომ ისიც ასეთ სიცოცხლეს არაფრად აგდებდა. ცოტა ხანს უკან ახლა ქალმა დაიწყო ჩივილი. უჩიოდა ბედს, რომელიც ასე უწყალოდ აშორებდა მათ. ამასთან გულ-ამოსკვნით ამბობდა, როგორ უნდა ვიცხოვრო უიმ ჰაეროთ, რომლითაც იმის საყვარელი ჰსუნთქავდა. ეტყობოდა, იმის საყვარელს საკმაოდ ვერ გამოერკვია ეს საგანი: პასუხის ნაცვლად, ჯერ თავი ჩაჰკინდრა, შემდეგ თვალები ჩამოკიდებულ ფარნის მკრთალ სხივებს მიაპყრა.

მაგრამ ქალი არაფრის გულისთვის არა სცხრებოდა. ისეთის გატაცებით, ისეთის სიმწარით უხსნიდა სიყვარულს ჯოჯოხეთურ ტანჯვას იმ დროს, როდესაც ამ სიყვარულით ვერა სტკბებოდა, რომ იმისი საცოდაობა უსულო ქვასაც კი აატირებდა.

— მგონი ჰკრს წვიმა ჩამოსდის. — წამოიძახა უცბად ქალმა, როდესაც თავისს საყვარლის მუხლზედ წვეთი დაინახა.

საწყალი ბრანდერი! ეს წვიმა იმის თვალებსა სდიოდა. ამ სიყვარულის სურათმა ისე აუტოკა ჩვილი გული, რომ თვალთაგან ცრემლები ღაპა-ღუპით მოსდიოდა. „რა ბედნიერი ვიქმნებოდი, ჩემი მარია-ლუიზაც რომ ასეთი იყოს!“ — ჰფიქრობდა თან გულში. ბოლოს მაინც თავი შეიკავა და ხელ-ახლა სმენად გარდაიქცა. ახლა ტირილი და ქვითინი ძირიდგან მოისმა. ბრანდერი მიხვდა, რომ განშორების საათი მოახლოვებულიყო. ამ დროს ახალგაზდებმა ყველაფერი წარმოსთქვეს, რაც-კი აწუხებდათ და გულზედ აწვათ. იმედი, ორივეს იმედი ასცხოველებდა. თვით განშორება იმდენად გულ-საკლავი იყო, რომ იმის აღწერა და სიტყვებით გადაცემა ყოვლად შეუძლებელია. ვიტყვით მხოლოდ, რომ გამწარებული და ძალზედ დაღონებული კაცი ცოფიანივით გავარდა გარეთ, როდესაც მატარებელი სადგურს მიუახლოვდა. არა ნაკლებ გამწარებულმა ქალმა გულ-ამოსკვნით ამოიოხრა და თავი ბალიშში წაჰყო. ბრანდერმა ხელ-ახლა გაიფიქრა: „ნეტავი ჩემი მარია-ლუიზაც ასეთი იყოსო!“

ქალმა პირი დაიბანა, ტანისამოსი გაისწორა, შლიაპა გაიწმინდა და ფორთოხალს დაუწყო ფცქვნა; შემდეგ ოდეკოლონიც გადაისხა და ფანჯარას მიუჯდა. ამ დროს ბრანდერიც ჩამოცოცდა ზევიდგან. ზრდილობიანად მიესალმა ქალს და იქვე სკამზედ ჩამოჯდა.

ბრანდერი უყურებდა ქალს და სტკბებოდა იმის მშვენიერის, უმანკო სახით, კეთილშობილურის გამომეტყველებით. ჰხედავდა, რომ სილამაზით ბევრად ვერ დასჯაბნიდა მარია-ლუიზას, მაგრამ სამაგიეროდ სად იმისი გული და სად ამისი!

— ნეტა ჩემი მარია-ლუიზაც რომ ასეთის გულის პატრონი იყოს, იმეორებდა განუწყვეტლივ ბრანდერი.

მატარებელი გაჩერდა. ქალმა უცბად ნივთებს დაუწყო კრეფა. უთუოდ ამ სადგურზედ აპირებდა გადასვლას. ბაქანზედ ამ დროს თვალი მოჰკრა შუათანა ხნის, ლამაზს კაცს, გახარებული ძირს ჩავიდა, ხელები კისერზედ მოჰხვია ბ მხურვალედ კოცნა დაუწყო.

— ხელ-ახლა შენთანა ვარ, ჩემო საყვარელო! — ეუბნებოდა ქალი, — რომ იცოდე, როგორ მომწყინდა უშენოდ; რა ნელ-ნელა გადიოდა დრო! მიხარია, გიხარიან თუ არა, შენ ცოლს რო ჰხედავ?

— მიხარიან? რაღასა მკითხავ, განა შენ თვითონ არ იცი? — ჩაილაპარაკა ქმარმა და ბედნიერის თვალებით შეჰხედა ცოლს.

შემდეგ მხიარულის ლაპარაკით გზას გაუდგნენ.

ბრანდერი გაშეშებული ფანჯარასთან იდგა და პირდაღებული გაჰყურებდა მიმავალთ. შემდეგ ჯოხს წამოავლო ხელი, გაჯავრებულმა ჰაერში გაიქნია და ხმა მაღლა წამოიძახა:

— ოო, ჩემი მარია-ლუიზა რომ ასეთი იყოს, ვაჩვენებდი მაშინ სეირს!...

როდესაც სახლში მივიდა, მარია-ლუიზა სასადილო ოთახში დახვდა.

— ნუ თუ ჩემი მოხუცი დაბრუნდა?! გამარჯვება, მეგობარო! — ღიმილით მიეგება ლუიზა ქმარს. — ჰხედავ, რა მშვენიერი სადილი მოგიმზადე.

— არ ვიცი, რამდენად კარგი სადილი მოამზადე, მაგრამ ის-კი ნამდვილია, რომ შენისთანა კარგი ცოლი მთელს დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება! — გულ-წრფელად წარმოსთქვა ბრანდერმა.

ამ დღიდგან სულ სხვა თვალით უყურებდა ბრანდერი თავისს ცოლს.

ი. ა—ძე

ხშირად შეუმჩნევიათ, რომ იმათ, ვინც ჩასმულ, ხელოვნურ კბილებს ატარებენ, ხასიათი ეცვლებათ ხოლმე. უმეტეს შემთხვევაში გულ-კეთილი ადამიანი კბილების ჩასმის შემდეგ ბრაზიანად და კაპასად ხდება. ერთის ამერიკელის მკურნალის აზრით, ამისი მიზეზი ის ლითონის ფირფიტები და სხვა მოწყობილებანია, რომლებითაც ხელოვნურ კბილებს ამაგრებენ ღრძილებსა და პირში. ამ მკურნალის სიტყვით, ეს ლითონები ნერწყვთან შეხების დროს აჩენენ ელექტრონის ტოკს, რომელიც ნერვებზედ საოცრად მოქმედობს. სწორედ შესაბრალისნი არიან ისინიო,—ამბობს მკურნალი, რომელთაც პირში მუდამ ელექტრონის აღმძრელი მანქანა უდევთო.

* * *

ქალაქები მარტო ამერიკაში არ იზრდება. ისეთი მაგალითები, რომ უბრალო სოფელი ხუთის ან ათის წლის განმავლობაში მოზრდილ ქალაქად გარდაქცეულა, რუსეთშიაც ხშირია მას შემდეგ, რაც რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა გაძლიერდა და რკინის გზათა რიცხვმა იმატა. სხვათა შორის ერთი ასეთ ქალაქთაგანია სკადოვსკი, რომელიც შავის ზღვის ნაპირას მდებარეობს ოდესიდგან 120 მილის სიშორეზედ. ამ ქალაქის ისტორია მხოლოდ 1894 წლიდგან იწყება, მაშასადამე, ამ ჟამად სკადოვსკი მხოლოდ ხუთის წლისაა. მოხერხებულის მდებარეობისა და მშვენიერის ნავთ-სადგურის წყალობით, სკადოვსკი წლობით-კი არა, საათობით იზრდება. ამ ჟამად ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 3000 კომლს აღემატება. ქალაქში ელექტრონული განათებაა, გამართულია ტელეფონები, ტელეგრაფები და სხვა მოწყობილებანი. მაგრამ ყველაზედ საყურადღებო ამ ქალაქის ვაჭრობაა. 1898 წელს სკადოვსკიდგან 2 მილიონის საქონელი იქმნა გატანილი. ამბობენ, რომ ორის ან სამის წლის შემდეგ ამ ქალაქის ვაჭრობა ერთი ათად და ოცად აიწევსო. უმთავრესად გააქვთ სკადოვსკიდგან ხორბლეულობა. სკადოვსკი სააგარაკოდაც გამოდგა თურმე.

## ფშაური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი სოფ. შარახევში იოსებ ბოძაშვილისაგან)

თუშნო ნუ ჩახვალთ ხოშარას, [1]
ხოშარა ეტლიანია, [2]
ჩახვალთ და ვეღარ ამოხვალთ,
ხოშარა ეკლიანია!..
იქ სამნი მგელნი ბუდობენ,
სამნივე ლეკვიანია...
ხოშარით კაცმა იძახა:
„მუქოს ვინა ხართ ხმლიანნი?!.“
ასჩქამდა წოწკურაული [3])
სუმელჯი ორლვიანი; [4])
ჯორით მოჰქონდენ ისარნი,
ლალის არწივის ფთისანი;
ესროლის, გამააგორის
თუში ფეხ ჩითაიანი...
— მოხველა, თილის ობოლო,
აშბავ რა მაინტანეა?!.
„მე-კი მოგივლ, დედაო,
სხვა აღარ ვინა მტანია,
დაგვლივნა ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა,
წყურვილის შეწუხებულმა
მხედარის ჩამოდენამა;
ვიწრო იწრომა ხევ-ხუეშა,
მოკლედ ფშავლების დენამა,
წოწკურაულის ისარმა
უწყალოდ შამოდენამა,
ნაკვეთაურის ფრანგულმა,
სანათაურის ენამა!..“
— ატირდა თუშის ქალები:
„აღარ მოგვივლენ ქმრები,
რა უყვათ იმათ ცხენებსა,
რით დაუჭიროთ თავები!“...
ზოგთა თქვეს: „მინდვრად გაუშვათ,
დაგალონ ნალ-ლუსმარები;“
ზოგთა თქვეს: „უკულმ დავკმაზოთ,
ზედ თავად შავსხდეთ ქალები“.
ზოგთა თქვეს: „ფშავში წავიდეთ,
ჩვენც იქ დავირთოთ ქმრები...“

* *

ლაშარს [5]) მოვიდა თილიძე,
დიდგულად დაჯდა ხარია,
შამაეხვივნენ ფშავლები,
როგორც ბატონსა ყმანია...
— შენ აქ არ მოგევლება,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალია,
დასწვი, დასდაგე ხოშარა,
ცამდინ აუშვი ალია,
იქაურ დიაწ ყმაწვილი
კალოდ გაჰლეწე მკვდარია!..
„ჩამომეხსენით, ფშავლებო,
თუ გწამთ ლაშარის ჯვარია,
მოვსულვარ სახვეწნელადა,
მომიყვანავის ხარია!..
ეგ მაშინ გავარიგოდეთ,
როცა გამოვლენ მთანია;
ამოვა იალაზედა,
ფშავლებო, თქვენი ცხვარია,
კიდევ სად განათდებიან
თილიძის ცხენის ნალნია,
ეტევებოდნენ ძაღლები,
არ გნებდებოდნენ გზანია!..

[1]) სოფელია ფშავში, სადაც ძველის დროიდგანვე უცხოვრიათ გაბიდოურებს და სცხოვრობენ ეხლაც (ნაწილი-და).

[2]) ეტლიანი —იღბლიანი.

[3]) გვარია.

[4]) შესახედავი, წამოსადეგი ვაჟკაცი.

[5]) ლაშარის ჯვარი, ფშავში ფშავლების სალოცავია.

## გამოსადეგი ცნობა

რკინასა და ფოლადს ჟანგისაგან ინახავს, თუ კირის წყალში დასველებულ ქაღალდი ან ტილო და იმაში შეახვიეთ რკინა ანუ ფოლადი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 სექტემბერი

**ოპორტო.** გუშინ ერთი კაცი გარდაიცვალა შავის ჭირით. დღეს ერთი გახდა ავად. მატარებლების მიმოსვლა რკინის გზაზედ განახლებულ იქმნა.

**პარიჟი.** გერენმა მოახერხა მეზობელ სახლის კედლის განგრევა, სადაც პოლიციელნი იდგნენ. გერენმა არ იცოდა ვინ იყვნენ, ფული მისცა და სთხოვა, თამბაქო მიყიდეთო. პოლიციელებმა ფული პოლიციას გადასცეს.

დერულედი ცალკე ოთახში დაატიმრეს.

**პარიჟი.** შეიძლება, უმაღლეს სასამართლოს კამისარმა ორშაბათამდე გაათავოს თავისი მოხსენება დრეიფუსის საქმის შესახებ. თუ ასე მოხდა, სასამართლო ორშაბათს დაადგენს თავისს გარდაწყვეტილებას საქმის ხელ ახლა გადასინჯვის შესახებ და მთავრობაც კრებაზედ, რომელიც აგრეთვე ორშაბათს უნდა მოხდეს, გადასწყვეტს, შეიძლება დრეიფუსს სასჯელი აპატიოს თუ არა.

2 სექტემბერი

**ბათუმი.** აფხაზმა ისმაილ ემურავამ რევოლვერით დასჭრა მდიდარი ოსმალო ილაას კორტ-ოღლი. დაჭრილის ძმამ, რომელმაც ამ დროს მოირბინა, იქვე მოჰკლა ემურავა. ემურავას სულით-ავადმყოფის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

**პარიჟი.** სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვით 1900 წლის შემოსავალი იქმნება—3,523,123,019 ფრანკი, ხოლო გასავალი—3,522,616,019. 1900 წლის გასავალი რადგან 1899 წლის გასავალს 45 მილიონით აღემატება. მარტო ჯარსა და ფლოტზედ მომატებული იქმნა 36 მილიონი. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში აღნიშნული იქმნება საფრანგეთის ვალიც, რომელიც 30 მილიარდს შეადგენს.

**პარიჟი.** ლაკრუაში (მაასზე) აღლუმის შემდეგ დღეს დილით შეიპყრეს გერმანიის ჯაშუში.

**პარიჟი.** „Journal des Depats“ ამბობს შეთქმულობაზე დანიშნულმა გამოძიებამ გაიოშკარავა, რომ უკანასკნელი მანიფესტაციები, განსაკუთრებით ლუბეს ამორჩევის დროს, ფორის დასაფლავებაზედ და დოლის დროს, როიალისტთა ლიგის აგენტებისაგან ყოფილან მომხდარნი; აგენტები ხარჯავდნენ ყველა საჭირო ფულს და ჰქონდათ კავშირი ორლეანის ჰერცოგთან. „Times“-იც ამავე ცნობებს აცხადებს და თან უმატებს, რომ სასულიერო წოდების ერთი ნაწილი ყოველისმხრივ ხელს უწყობდა მეფობის მომხრეთ.

**პარიჟი.** ზამოძიებამ გამოარკვია, რომ 1898 ჟლის 26 ოქტომბრისა და 12 დეკემბრის მანიფესტაცია და აგრეთვე 1899 წლის 19 თებერვლის მანიფესტაცია ლუბეს არჩევის გამო, 28 თებერვლისა, ფორის გარდაცვალების გამო, და 4 ივნისისა ოტეილში მოუხდენიათ როიალისტთა და ანტისემიტთა ლიგებს. ყველა ეს ფაქტები გამოირკვა იმ საიდუმლო ამბავის შემწეობით, რომელიც შევინიეს წაართვეს და რომელსაც ორლეანის ჰერცოგი ხმარობდა თურმე მეგობრებთან მიწერ მოწერისათვის. ბრალდებულთა რიცხვი უდრის 60-ს. უმთავრესნი მათგანნი ორშაბათს ცალ-ცალკე იქმნებიან დატუსაღებულნი იმ კამერებში, რომელიც სენატის შენობაში იმყოფება. დანარჩენს დასტოვებენ Sante-ს სატუსაღოში, საიდგანაც მათ წაიყვანენ სასამართლოში.

შაბროლის ქუჩაზედ ყოველივე წინანდებურად არის.

## შემოწირულება

ბ-ნ პეტრე ჭარაიასაგან მიიღო რედაქციამ 25 მან., ოჩამჩირესა და მის ახლომახლო ადგილებში შეკრებილი, მომავალ ქართველ საქალებო სკოლის სასარგებლოდ მისი მოთავისათვის გარდასაცემად.

სია შემომწირველთა: №№-მა 1 მან., ტაგუ ბოკუჩავამ 1 მან., ვოტატი ელიავამ 1 მან., პროკოპი საბაშვილმა 50 კაპ., პანჯო ივანიდისმა 1 მან., ყარამან ჯავახიამ 50 კაპ., ბესარიონ ა. ცხაკაიამ 40 კაპ., ფარნა დავითაიამ 1 მ., ბახვა ჩაჩიბაიამ 1 მან., ანდრია ქურციკიძემ 50 კაპ., მიდილ ოღლიმ 50 კაპ., ხუსეინ კარასანმა 1 მან., გიორგი აბაშიძემ 1 მან., ფარნა ჯავახიამ 1 მან., ექვთიმე ონის. ორაგველიძემ 1 მ., ბლაღ. მღვდ. დ. მარღანიამ 50 კაპ., გამომძ. გ. ხაბურზანიამ 50 კაპ., ქაიხოსრო მახარაძემ 50 კაპ., ტრიფონ კაჭარავამ 1 მან., იაკობ არიშბაიამ 40 კაპ., ივ. სანაიამ 50 კაპ., დ. კაკალიამ 70 კაპ., ერასტო ლიფონავამ 1 მან., მათე ხუბულავამ 30 კაპ., მღვდ. ბესარიონ გობეჩიამ 50 კ., მაქსიმე ჭანტურიამ 50 კაპ., ომარ კუწნიამ 40 კაპ., მღ. ბართლომე ხარებავამ 1 მან., მღ. ვასილ მაქაცარიამ 1 მან., მღ. გიორგი საჯაიამ 50 კაპ., მღ. ბარნაბა ფანცულაიამ 1 მან., ნესტორ ჟორდანიამ 1 მ., პეტ. ჭარაიამ 1 მ.

## „ივერიის“ ფოსტა.

**გურიაში. გ. ც—ძეს.** ვერ გავიგეთ, რომელ გზის შესახებ სწერთ წერილს.

**ქ. ბ—მი. ა. ბ—ლიას.** არ დაიბეჭდება.

**ფრონისპირელს.** არც „სიმღერა“ და არც წერილი არ დაიბეჭდება.

**ს—კი. ი. რ—ს.** აფხაზელ მღვდლის პასუხს ვერ დავბეჭდავთ.

**ბ—ია მირიანს.** არ დაიბეჭდება.

**პართენს.** „უჯერო ქადაგების პასუხი“ არ დაიბეჭდება.

**ქ. ფ—ი. ს. ზ. ხ—იას.** არ დაიბეჭდება.

**გ. ბერშუელს.** არ დაიბეჭდება.

**ივანე ი—ს** არ დაიბეჭდება.

**ქ. ს—შვილს.** დამაკვირდები და ნაწყვეტი არ დაიბეჭდება.

**ს. ჭ—ა. გ. დ—ძეს.** არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ დაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **ქუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—24) ნ. წერეთელი

# გამოვიდა მესამე წიგნი

ივანე როსტომაშვილის რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონისა ასო B (ვინზე).

წიგნში შეტანილია მთელი სტატიები შემდეგ საგნებზედ: Вавилонія, Вавил.плѣненіе,—столпотвореніе, Ваганъ Мамиконянъ, Вагаршакъ I, II, Вагаршапатъ, Ваггабиты, Вагинизмъ, Вагонъ, Важсская грамота, Вазаская губ., Ваке, Вакуфъ, Вакханалія, Валаамъ, Валахи, Валашкертъ, Валдай, Вале, Валезіане, Валенсія, Валка лѣса (ხე-ტყის მოჭრა), Валленштейнъ, Валлисъ, Валлон. страна, Валтасаръ, Валуевы, Валунъ, Валухъ, Вальвація, Вальденсы, Вальдшнепъ, Вальпургіева ночь (ნემეცური ქეიკოკობა), Вальцы, Вамбери, Вампиръ, Ванати, Вандалы, Вандея, Ваниль,Варрантъ, Варухъ, Варшава, Варшав. губ.,—трактатъ,—велик. герцогство,—вѣнская жел. дорога, Варъ, Варяги, Варѳол. ночь, Васакъ Сюнскій, Басилискъ, Василій Блаженный,—Великій, Васильчиковъ, Васко де Гама, Вассаль (მერიხოსების მომშენებელი რუსეთში), Вата, Ватиканъ, Ватъ-Тайлеръ, Вахваховы, Вахтангъ I, II, III, IV, V, VI, Вахуштъ, Вачнадзевы, Вашингтонъ, Ваяніе, Введеніе во храмъ, Вдова, Вегетаріанство, Ведень, Веджини, Везировы, Везувій, Веймутова сосна, Вели, Велизарій, Великанъ, Великая Бухарія,—Греція, -камен. стѣна,—княжна,—княгиня,Великая хартіявольностей,Великійкнязь,Великоанадольское степн-лѣсничество, Великобританія, Великокняжескія монеты, Велисъ-цихе, Величина животн.,—растеній, Величка, Величко, Веліо Велингтонія,—нъ, Велосипедъ, Вельгавенъ, Вельпо, Венгерка (ქანჭური), Венгрія, Венера, Венерич. болѣзни, Венеція, Вентиляторы, Вера и Верійское ущелье, Верблюдъ, Вербовка, Вергеландъ, Верди, Верещагинъ, Вермишель, Версаль, Вертушка, Вертячка (რეტი), Верхняя Карталинія,—Палата-Веске (ფინნების ენათა მკვლევარი), Весен. работы въ сельск. и лѣсн. хоз., Веспасіанъ, Вессель, Веста и Весмалка, Вестготы, Вестминстеръ, Вестфалія, Вестъ-Индія, Ветерин. институты и школы, Ветлян. станица, Ветхій завѣтъ,—человѣкъ, Ветчина, Вечерня, Вешняковъ, Вещевое довольствіе, Взрывчатія вещества, Взятокъ пчелъ, Вивсюгъ (საკვები ბალახია), Вигандъ (ბოტანიკოსი), Вишлянцій (ძღვდელი), Вигонъ, Видукиндъ, Византія, Вика (ქვიშნა), Викарій, Виклефиты, Виктор. дни, Вильгельмъ I, II,—Завоеватель,—Тель, Вильно, Вино, Винодѣліе, болѣзни вина и винограда и лѣченіе ихъ, Виргилій, Вирховъ, Висраміани,Виссаріонъ Никейскій, Висячій мостъ, Витализмъ, Витебскъ, Виттова пляска, Вихрей, Вишня, Виѳлеемъ, Владикавказъ, Владик. жел. дорога, Владиміръ, Влахерна, Вогормацъ, Ашотъ, Вогуличи, Вода, Водка, Водная культура, Водовладѣніе, Водолеченіе, Водоудерж. платина, Водянка, Воеводскій, Военная администрація,—географія и стетистика,—исторія,—контрабанда,—медицина,—хитрость,—груз. дорога,—ауховенство,—искуство,—краснорѣчіе,—положеніе,—ветеринары,—исправит. роты,—плѣнный,—судебн. вѣдомство,—уголовные уставы,—учебн. заведднія-Воздухъ, Воздушн. шаръ, Возліяніе, Возложеніе рукъ, Возмужалость, Вознагражденіе за вредъ и убытки,—неправильно привлеченныхъ къ уголономусуду и невинно осужденныхъ, Воздвиженіе креста, Вознесеніе Господне, Возобновленіе лѣса,—судебныхъ дѣлъ, Возрастъ въ уголовномъ правѣ,—домашныхъ животныхъ, Войнская повинность (წესდებით), Войлочн. болѣзнь винограда и деревьевъ,Волга,Волкъ и средство къ его истребленію,Волосныесосуды, Волхвы, Волчанка, Волчецъ, Волъ, Вольн. эконом. общество, Вольноопредѣляющіеся, Вольтеръ (დიდებული მწერალი XVIII ს.), Воплощеніе, Ворона и воронъ, Воронцовы, Воровство пчелиное, Восковыя деревья, Воскресеніе I. X.,—мертвыхъ, Воскресный отдыхъ, Воскресныя и Вечерныя школы, Воскр. и вечерн. курсы и классы, Воскъ, Воспитаніе, Воспитательные дома, Воспоръ, Воспріемники, Востоковъ, Восточная война,—Церковь,—вопросъ,—Туркестанъ,—факультетъ,—монеты, Вотяки, Вощина, Врожденный, Вселенскіе соборы, Всемірный потопъ,—языкъ, Всеподданнѣишія прошенія и жалобы, Вскармливаніе ребенка, Вскрытіе тѣла,—венъ, Всходы, Всхожесть сѣмянъ, Второе пришествіе I. X., Второзаконіе, Второй спасъ, Вулканизмъ, Входъ въ Іерусалимъ, Выходъ, Выборгъ, Выборное право, Выдра, Выемка меда, Выжиганіе по дереву, Выздоровленіе, Вызовъ въ судъ, Выкидышъ, Вырестъ і рыбы, Вырожденіе, Высиживаніе яйцъ, Выставка пчелъ, Высыпане зерна, Вѣна, Вѣнецъ, Вѣнчаніе, Вяленіе картофеля, Вятка, და სხვა მრავალი წვრილი სტატია და განმარტება უცხო და ჩვეულებრივ სიტყვათა (ორი ათასზე მეტი სიტყვაა განმარტებული). ყოველივე ეს ახსნილი და განმარტებულია ყველასათვის ადვილ-გასაგების ქართულის ენით, რის გამოც ჩვენი ენციკლოპედიური ლექსიკონი შეადგენს უკეთესს სახელმძღვანელოს საენციკლოპედიო სწავლა-განათლებისათვის, რომელიც ერთად-ერთი ძალაა ხალხში მიმალულის ნიჭის აღორძინებისა და განვითარებისათვის, რადგანაც ენციკლოპედია გააცნობს კაცს ბევრს ისეთს საგანს, რომელთ არსებობას იგი იქნება არც-კი მოელოდა.

სულ გამოვა 15 წიგნი (თითო ორას-გვერდიანი) და ეღირება მხოლოდ **12 მანეთი**, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს: პირველად **სამი მანეთი** (ამაში გაეგზავნება სამი უკვე გამოსული წიგნი), ხოლო დანარჩენი **ორ-ორ მანეთობით** ყოველ შემდეგ ახალ წიგნის მიღების დროს. მეოთხე წიგნი (ასო Г-ზე და Д-ზე) გამოვა ამ წლის დასასრულს.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (3—104—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 3 го Сентября 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.